



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080192696632918

№ 1506

14 / ივნისი / 2018 წ.

**შპს „ჰაი-ტექ სოლუშენსის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 8 ივნისს წარმოდგენილ იქნა შპს „ჰაი-ტექ სოლუშენსის“ (ს/ნ: 205268315) 2018 წლის 8 ივნისის მომართვა (რეგისტრაციის № 4900), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ჰაი-ტექ სოლუშენსის“ (ს/ნ: 205268315) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2018 წლის 19 ივლისს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ჰაი-ტექ სოლუშენსის“ (ს/ნ: 205268315) 2018 წლის 20 ივლისიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ზაზა ნანობაშვილი